TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

ქ.თბილისი
1 მაისი, 2018 წელი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
შპს ,, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი'' და
ა(ა)იპ ,,ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიას'' შორის

შპს ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი'' წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ვალენტინა საყვარელიძის სახით და ა(ა)იპ ,,ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია'', წარმოდგენილი დირექტორის, პროფესორ ნოდარ გრძელიშვილის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის '' სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიასთან თანამშრომლობის გზით ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოცდილების გაზიარებას, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას.

2. მემორანდუმის მიზანი

2.1. ტურიზმის და მენეჯმენტის მიმართულებით ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისაკენ.
2.2 ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების (ტრენინგების. კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების, საზაფულო სკოლების და სხვ.) ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება.
2.3 გაცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას საერთაშორისო კონტაქტებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და ხელს შეუწყობენ ერთმანეთს მათ ხელთ არსებული ზემოაღნიშნული კონტაქტების გამოყენებაში. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტი ახალგაზრდობის და აკადემიური პერსონალის ჩართვა.

3. მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1. ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია იღებს ვალდებულებას:

3.1.1. მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის ტურიზმის და მენეჯმენტის მიმართულებაზე აკადემიური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.
3.1.2. მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კვლევითი პროექტებში ჩართულობა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

3.1.3 მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო და პრაქტიკული ტრენინგების ორგანიზება და მათ საერთაშორისო პროგრამებში ჩართვა.

3.1.4. უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს სხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.

3.2. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:

3.2.1. ა(ა)იპ ,,ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიასთან '' ერთად დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ღონისძიებებში.
3.2.2. შპს ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი'' გაუწევს დახმარებას ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიას მოკლევადიანი საპრეზენტაციო ღონისძიებების, ფოტოექსპოზიციების მოწყობის, ბრიფინგებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარებაში, გამოუყოფს თავისუფალ ფართს - სააქტო დარბაზს, ფოიეს, სასწავლებლის ინფრასტრუქტურას.
3.2.3 ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიას საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის'' ბიბლიოთეკით სარგებლობა.

4. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები განისაზღვრება მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.
5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

6. მემორანდუმის მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;
6.2. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია
მის.: ბ.ქებურიას ქ. 44ა,
თბილისი, საქართველო
ტელ.: 995 555181792; 995 599 903202
ელ.ფოსტა: regioni.ge@yahoo.com
საიდენტიფიკაციო კოდი:400138285

დირექტორი: ნოდარ გუმელიშვილი

შპს ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი''
მის: 0144, თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31
ტელ: (+995 32) 254 59 08, (+995 32) 254 59 09.
ელ-ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge
საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045

რექტორი: ვალენტინა საყვარელიძე